

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ზოგადი პროფილის კვალიფიციური მედლის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციებს წარმოადგენს:

- საქმიანობის წარმოება ICN 2000-ის ეთიკური კოდექსის შესაბამისად;
- საქმიანობის წარმოება ევროპაში პაციენტთა უფლებების ხელშეწყობის დეკლარაციის (WHO 1994) შესაბამისად;
- საქმიანობის წარმოება ქვეყნის კანონმდებლობისა და საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი კონკრეტული კანონმდებლობის შესაბამისად;
- შესაბამისი კვლევების მონაცემთა მოძიება და საექთნო საქმიანობის წარმოება სარწმუნო მონაცემების საფუძველზე;
- შესაბამისი კომუნიკაციური და ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გამოყენება საექთნო საქმიანობაში;
- პრევენციული საქმიანობის წარმოება ინდივიდთა და ზოგადად პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების ხანსადი წესის დანერგვის მიზნით;
- პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა უსაფრთხო გარემო პირობების ხელშეწყობის, რისკ-ფაქტორების მართვისა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით;
- საექთნო დახმარების საჭიროების ყოველმხრივი, სისტემატური და ზუსტი შეფასება;
- საექთნო საქმიანობის გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება ავადმყოფთან და მის ახლობლებთან თანამშრომლობის გზით;
- საექთნო საქმიანობის წარმოება ინდივიდუალურ და პოპულაციურ გარემოში;
- საექთნო საქმიანობის შეფასება-შესწავლა და მიღებული მონაცემების შესაბამისად საქმიანობის გეგმისა და სტრატეგიის შეცვლა;
- საექთნო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება;
- კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური ქმედება;
- საექთნო ფუნქციების ადეკვატური დელეგირება;
- უმცროსი სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობა, სწავლება და მხარდაჭერა;
- ლიდერის თვისებების გამოვლენა;
- საექთნო საქმიანობის სტანდარტების დანერგვა და ხარისხის უზრუნველყოფა;

- მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული საქმიანობა;
- კლინიკური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული სრულყოფისადმი ლტოლვა.